დავით ტვილდიანის

სამედიცინო უნივერსიტეტი

სადოქტორო კომიტეტის დებულება

სადოქტორო კომიტეტი არის ფაკულტეტზე არსებული აკადემიური სტრუქტურა, რომელიც დეკანატსა და ფაკულტეტის საბჭოსთან ერთად ახორციელებს დოქტორანტურის სამეცნიერო, აკადემიურ და ადმინისტრაციულ მართვას და მოქმედებს "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, დტსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის, მედიცინის ფაკულტეტის წესდების, აკადემიური საბჭოს, სადისერტაციო საბჭოს დებულებებისა და წინამდებარე დოკუმენტის საფუძველზე.

კომიტეტის შემადგენლობა:

1. სადოქტორო კომიტეტის თავჯდომარე
2. აკადემიური პერსონალის წარმომადგენელი
3. სამეცნიერო–კვლევითი დეპარტამენტის ხელმძღვანელი
4. დეკანი
5. დოქტორანტთა წამომადგენელი
6. უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი
7. სადოქტორო კომიტეტის სწავლული მდივანი (დეკანის მოადგილე სამეცნიერო დარგში)

კომიტეტი:

1. დეკანის დავალებით განიხილავს დოქტორანტურის ფარგლებში განსახორციელებელი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის აღწერილობას (გეგმა-რუკას), ადგენს მის შესაბამისობას დტსუ-ს სადოქტორო პროგრამაში არსებულ სამეცნიერო-კვლევით მიმართულებებთან და მისი სამეცნიერო ღირებულებისა და სტანდარტებთან შესაბამისობის შესაფასებლად განსაზღვრავს წინასწარი ექსპერტიზის მიზანშეწონილობას.
2. საკუთარი გადაწყვეტილების საფუძველზე ნიშნავს სადოქტორო პროგრამის მიზნებისთვის განსახორციელებელი პროექტის წინასწარ ექსპერტიზას.
3. უზრუნველყოფს სადოქტორო პროგრამის მიზნებისთვის დაგეგმილი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის თაობაზე ეთიკის კომიტეტის დასკვნას.
4. ამზადებს და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს სადისერტაციო მასალების (კვლევის შედეგები) პუბლიკაციისათვის რეკომენდებულ ადგილობრივ და საერთაშორისო გამოცემათა ნუსხას.
5. განსაზღვრავს სასწავლო და კვლევითი კომპონენტის კრედიტების განაწილებას და დატვირთვას სამეცნიერო ხელმძღვანელთან და დოქტორანტთან შეთანხმებით და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს.
6. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით უფლებამოსილია იურიდიულ სამსახურთან ერთად მოამზადოს და წარუდგინოს რექტორს ხელშეკრულებები საქართველოს და უცხოეთის სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევით, სამედიცინო და სასწავლო დაწესებულებებთან.
7. შეიმუშავებს და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს დოქტორანტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე სწავლის

პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესს და მოქმედებს აღნიშნული წესის შესაბამისად.

8. უზრუნველყოფს სასწავლო კომპონენტის მაღალ აკადემიურ დონეზე დაგეგმილი მოცულობით დამუშავებას.
9. სასწავლო განრიგის დაცვას.
10. სასწავლო პროცესის საინფორმაციო სამსახურის სრულფასოვან ფუნქციონირებას.
11. დოქტორანტებთან მიმართებაში:
    11.1. განაგებს მათ პირად საქმეებს;
    11.2. უზრუნველყოფს ხელშეკრულების გაფორმებას;
    11.3. დეტალურად აცნობს დოქტორანტებს სასწავლო შინაგანაწესს და ეთიკის კოდექსს;
12. ხელს უწყობს დოქტორანტთა სამეცნიერო-კვლევით მუშაობას.
13. აწარმოებს დოქტორანტთა სასწავლო კურსებზე დასწრებისა და აკადემიური მოსწრების მაჩვენებლების აღრიცხვიანობაზე კონტროლს.
14. უწყვეტად შეისწავლის აღნიშნულ მაჩვენებლებს და დროულად გადასცემს სრულ მონაცემებს დეკანატს.
15. ამზადებს დოქტორანტთა სიებს ჯგუფების მიხედვით.
16. უზრუნველყოფს უწყისების და სხვა საჭირო საბუთების დროულ მომზადებას.
17. უზრუნველყოფს დოქტორანტთა განცხადებებზე დროულ რეაგირებას, პერსონალური საკითხების მომზადებას და მათ განხილვას სადოქტორო კომიტეტის სხდომებზე.
18. მოისმენს დოქტორანტის და ძირითადი ხელმძღვანელის გეგმიურ ეტაპობრივ ანგარიშს, მათთან ერთად განიხილავს ნებისმიერ ცვლილებებს და აუცილებელ ღონისძიებებს.
19. სადოქტორო კომიტეტი ამზადებს საკითხს და ფაკულტეტის საბჭოზე წარადგენს დოქტორანტისთვის აკადემიური და სადეკრეტო შვებულებით სარგებლობის შემთხვევაში მისთვის სტუდენტის აქტიური სტატუსის შეჩერების შესახებ.
20. სადოქტორო კომიტეტი ამზადებს საკითხს და ფაკულტეტის საბჭოზე წარადგენს დოქტორანტისთვის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ.
21. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე წარადგენს ანგარიშს გასული სასწავლო წლის შედეგების შესახებ და აკეთებს ინფორმაციას ახალი სასწავლო წლისთვის დაგეგმილი სიახლეებისა და ცვლილებების შესახებ.
22. დოქტორანტის მიერ სასწავლო კომპონენტის კრედიტების შესრულებისა და სადისერტაციო ნაშრომის თემაზე დადგენილი წესით გამოქვეყნებული სავალდებულო პუბლიკაციების არსებობის შემთხვევაში ნიშნავს წინასწარ განხილვას (აპრობაციას) შესაბამისი დეპარტამენტის სპეციალურად მოწვეულ საბჭოზე.
23. ადგენს პირველადი მასალის სანდოობას.
24. სადისერტაციო ნაშრომის აპრობაციის შემდეგ შესაბამისი დეპარტამენტის წარდგინების საფუძველზე ატარებს სადისერტაციო ნაშრომის ექსპერტიზას საექსპერტო კომისიის მეშვეობით.

25. ექპერტთა კომისიის არანაკლებ 3 წევრის შემადგენლობას, ასევე სადისერტაციო საბჭოს სავარაუდო შემადგენლობას (ჩვეულებრივ 10 წევრი), შეარჩევს სადოქტორო კომიტეტი, წარუდგენს აკადემიურ საბჭოს განხილვისა და დამტკიცების მიზნით.
26. საექსპერტო კომისიის დადებითი დასკვნის (გულისხმობს ავტორეფერატის დაბეჭდვაზე ყველა ოპონენტის თანხმობას, დაცვისთვის ნაშრომის მზაობის საფუძველზე) შემთხვევაში, აგრძელებს პროცედურას (დაცვის მომზადების), უზრუნველყოფს დოქტორანტის და ხელმძღვანელ(-ებ)-ის, ასევე ნაშრომის დაცვის მიზნით შექმნილი სადისერტაციო საბჭოს წევრების ინფორმირებას და უზრუნველყოფს დაცვის ორგანიზებას (დღე, ადგილი, ავტორეფერატის მიწოდება, ტექნიკური დეტალების ჩათვლით).
27. საექსპერტო კომისიის უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში დისერტაცია უბრუნდება დისერტანტს და მისი ხელახალი წარდგენა შეიძლება არაუადრეს ერთი წლისა. რომელიმე ერთი წევრის უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში ნიშნავს დამატებით ექსპერტიზას მოწვეული სპეციალისტის მონაწილეობით. დამატებითი ექსპერტის უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში დისერტაცია უბრუნდება დისერტანტს და მისი ხელახალი წარდგენა შეიძლება არა უადრეს ერთი წლისა.
28. არაარსებითი ხასიათის შენიშვნების შემთხვევაში დოქტორანტს უფლება აქვს მათი გათვალისწინებით ცვლილებები შეიტანოს დისერტაციაში, რაც დაცვამდე ერთი თვით ადრე წერილობით უნდა აცნობოს სადოქტორო კომიტეტს.
29. პლაგიატის ან დისერტანტის მიერ სადისერტაციო მასალებისა და დოკუმენტების გაყალბების დადგენის შემთხვევაში დისერტაცია იხსნება განხილვიდან.
30. ამზადებს გასაცემად დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელ დიპლომს და ტრანსკრიპტს.